პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 მაისი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 92 (10 011) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში

## ქართველმა ფალავნებმა კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზეს


კობა კურტანიძე.


ამირან ტოტიკაშვილი


გიორგი თენაძე

**ჰელსინკი.** აქ დამთავრებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასეთი წარმატებისთვის ჩვენს მოჭიდავეებს კონტინენტის არც ერთ წინა ჩემპიონატში არ მიუღწევიათ. გუნდში უმედლოდ არავინ დარჩენილა.

ჩემპიონის სახელი ზედიზედ მეორედ მოიპოვა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, თბილისელმა ამირან ტოტიკაშვილმა (60 კგ). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან ფინალში წმინდად დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი პეტერ სედივაკი.

ტოტიკაშვილის გარდა ოქროს მედლები მოიპოვეს: გორელმა კობა კურტანიძემ (95 კგ) და გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ). კობა კურტანიძე ევროპის ჩემპიონი მეოთხედ გახდა.

შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორ მინუსინსკელ სერგეი კოსმინინს (65 კგ) ამჯერად ვერცხლის ჯილდო ერგო. მან ფინალური ორთაბრძოლა ოლიმპიადის ·პრიზიორ, ფრანგ ბრუნო კარბეტასთან დათმო. ვერცხლის მედალი მოიპოვა, აგრეთვე, ნაკრების დებიუტანტმა მოსკოველმა ვიტალი ბუდიუკინმა (68 კგ). გადამწყვეტ შეხვედრაში მას ფრანგმა ფაბიენ კანიუმ აჯობა.

ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს გორელმა გიორგი თენაძემ (71 კგ), კუიბიშეველმა სერგეი კოსოროტოვმა (აბსოლუტური პირველობა) და გრიგორი ვერიჩევმა (მძიმე).

სამივე ჩვენი სპორტსმენი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აღზრდილია, მაგრამ გიორგი თენაძე ამჟამად ასკ-ს წევრია, ამირან ტოტიკაშვილი კი სამხედრო სავალდებულო სამსახურს ახლა იხდის.

## იაპონელებში აკრობატიკით დაინტერესდნენ

**იაპონელთა** წინდახედულება საქვეყნოდ ცნობილია. მათ ქვეყანაში აკრობატიკა საკმაოდ არაპოპულარული სახეობაა. არადა, ორი წლის შემდეგ აქ მსოფლიოს თასის გათამაშებაა დაგეგმილი. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა გამოსავალი ჩქაც გამონახეს: მესამე წელია ატარებენ შეჯიბრებას სახელწოდებით „მსოფლიოს სპორტის ჩირალდანი", სადაც, თუმცა მხატვრულ და სპორტულ ტანმოვარჯიშეებსაც იწვევენ, ძირითადი აქცენტი აკრობატიკაზე აქვთ გადატანილი. წელს სხვებთან ერთად იაპონიას ეწვივნენ თბილისელი აკრობატები, მსოფლიოს ჩემპიონები ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა. მათ შეჯიბრების გარდა საჩვენებელი შეხვედრებიც გამართეს. გასულ შაბათს ჩვენი აკრობატები თბილისში დაბრუნდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ინგა გიორგობიანი, რედაქციაში მოვიწვიეთ, გთავაზობთ მის ნაამბობს:

— ჩვენი გამოსვლა პირველად ტოკიოში გაიმართა. აქ ჩვენს გარდა გამოდიოდნენ ბულგარეთის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიისა და პოლონეთის აკრობატები. შეჯიბრება ასეთი პროგრამით იწყებოდა: ფიცარნაგი ჯერ ტანმოვარჯიშეებს ეთმობოდა, შემდეგ ჩვენ. აღსანიშნავია, რომ ტანვარჯიშული ფიცარნაგი როგორღაც თვალსა და ხელ შუა იქცეოდა ხოლმე აკრობატთა სარბიელად. საშეულთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა ჩვენი და ბულგარელების (ანგელოვა, ბარაკოვა, კურდიალევა) გამოსვლა, რომლებთანაც შარშან მსოფლიო ჩემპიონობა გავიყავით. როგორც ჩანს, ჩვენი მეტოქეები ამ შეჯიბრებისთვის კარგად ვერ მოემზადნენ და მესამე ადგილს დასჯერდნენ. პირველობა ჩვენ დავისაკუთრეთ, მომდევნო ადგილზე ჩინელები გავიდნენ. ტოკიოს შემდეგ იაპონიის კიდევ სამ ქალაქს ვეწვიეთ. აქ უკვე საჩვენებელი გამოსვლები გვქონდა, რომლებიც უფრო შოუს ჰგავდა. გამოსვლებმა, მეტადრე ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობამ დაგვქანცა, თუმცა განთქმული ექსპრეს-მატარებლებით ვმგზავრობდით. ყველგან, სადაც კი გამოვდიოდით, მაყურებელი დიდ სითბოსა და ყურადღებას იჩენდა, ორგანიზატორები საუკეთესო დარბაზებს გვითმობდნენ.

ჩვენი იქ ყოფნის დროს უჩვენეს საკავშირო ტელევიზიის პროგრამა „ვზგლიადის" ის მონაკვეთი, რომელიც თბილისის 9 აპრილის ტრაგედიას ეძღვნებოდა.

აკრობატთა გამოსვლას იაპონელები ვიდეოკამერებით იღებდნენ. როგორც ჩანს, მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ სპორტის ეს სახეობა უფრო ფართოდ დანერგონ თავიანთ ქვეყანაში. ჩვენი გამოსვლაც ხომ სწორედ აკრობატიკის რეკლამას ემსახურებოდა.

ჩაიწერა **ჯემალ კასრაძემ.**

## წყალბურთის ამბები

### თბილისელები თასისთვის ბრძოლას გააგრძელებენ

**გაიმართა** წყალბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები, რომელშიც თბილისის „დინამო" და პირველი ლიგის ბინადარი ასკ გამოდიოდა. ისინი ვორონეჟში ალმა-ათის „დინამოსთან", ლენინგრადის „ბალტიკასთან", მარიოპულის „აზოვთან", ყაზანის „სინთეზთან" და ვორონეჟის გუნდებთან ერთად ასპარეზობდნენ. მათგან თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვეს თბილისელმა და ალმაათელმა თანაკლუბელებმა, რომლებმაც 9-9 ქულა დააგროვეს. ჩვენებმა ვორონეჟში ოთხი შეხვედრა მოიგეს, ალმაათელებთან ფრედ ითამაშეს, ხოლო ბოლო მატჩში „აზოვთან", რომლის შედეგი პრაქტიკულად არაფერს წყვეტდა, დამარცხდნენ.

### სამნი — მეორე ნაკრებში

**ერთი** კვირის შემდეგ თბილისში დაიწყება წყალბურთელთა ტრადიციული XI საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. ტურნირზე საასპარეზოდ ელიან ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბერძნეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, სსრ კავშირის პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებს.

რა თქმა უნდა, ტურნირში გამოვა საქართველოს ნაკრებიც, რომელიც თბილისის დინამოელებით იქნება დაკომპლექტებული. თბილისში უკვე ჩამოვიდა სსრ კავშირის მეორე ნაკრები, რომელიც ტურნირისთვის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში ემზადება. ამ გუნდის შემადგენლობაში მიწვეულია სამი თბილისელი წყალბურთელი: ალექსანდრე ბითაძე, ვარლამ მაჭავარიანი და მცველი · მიხეილ გიორგაძე.

### დინამოელთა გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს

**როგორც** ვიუწყებოდით, მოსკოვში, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის V ტურის მსვლელობისას თბილისის დინამოელებმა და მოსკოვის „უნივერსიტეტის" წარმომადგენლებმა საშხაპეში იჩხუბეს.

იმასაც ვიუწყებოდით, რომ ამ ინციდენტის შესახებ იმსჯელა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ, რომელმაც დაადგინა: თბილისელთა გუნდის წევრებს დევი გვახარიას, გიორგი ზუმბულიძესა და კახა კანდელაკს მიეცეთ დისკვალიფიკაცია. ამავე პრეზიდიუმის სხდომაზე თბილისელთა მწვრთნელებს მიუთითეს, ხოლო გუნდის უფროსს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური.

ჩვენი დინამოელების საქციელი განიხილეს მოსკოვში წყალბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე, სადაც თბილისში მიღებული მკაცრი გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს.

SOS

## მხოლოდ საკუთარი სამართლით?..

**კვირას** თბილისში, კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახლეში, გაიმართა პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. მაგრამ, ვიდრე შეხვედრების ანგარიშს მოგაწვდიდეთ, სიტყვით (და თხოვნით) გვინდა მივმართოთ შეჯიბრების მონაწილე გუნდების გულშემატკივრებს: თუ ასპარეზობისას კიდევ მოხდა ისეთი ამბები, როგორიც გასულ კვირას ვიხილეთ, ყოველგვარი ფასი დაეკარგება გამარჯვებას, სპორტსმენთა მონდომებასა და ოსტატობას, საერთოდ, მთელ შეჯიბრებას. მსაჯობა არ შეიძლება იყოს იდეალური, უნაკლო, და ყოველ ქულაზე, მიზეზით თუ უმიზეზოდ განგაშის ატეხა სრულიად აუფასურებს ყველაფერ იმას, რისთვისაც გულშემატკივრები დარბაზში მიდიან. ქართული ჭიდაობის სიყვარული მის პატივისცემასაც ნიშნავს. სამწუხაროდ, ყველა გუნდის გულშემატკივრებს ერთი — საკუთარი სამართალი აქვთ და სხვის აზრს ახლოსაც არ იკარებენ.

...ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში მეტოქე წყვილები ხაშურის რაიონის სოფელ ვაყისა და საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის გუნდები იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ტურნირის ორგანიზატორებმა წინასწარ თითქოს ყველა თადარიგი დაიჭირეს, მთავარ მსაჯად ყველასგან პატივსაცემი პიროვნება ბიძინა მაზიაშვილი დანიშნეს, მაგრამ...

შეხვედრა თავიდანვე ნერვულ ვითარებაში მიმდინარეობდა. როცა ანგარიში გახდა 3:3, ხალიჩაზე უხმეს გუნდების საუკეთესო ფალავნებს, პატარძეულელ კობა კუპატაძეს და ვაყელ ავთანდილ მუმლაძეს. ეს იყო მართლაც შესანიშნავი შერკინება, მაგრამ ჯერ კიდევ მის დამთავრებამდე ისეთი ამბავი ატყდა, ვისაც ეცალა ჭიდაობის შესაფასებლად.

მსაჯებმა ორთაბრძოლის დასრულებამდე 18 წამით ადრე მეორე— საბოლოო გაფრთხილება მისცეს მუმლაძეს, რომელიც იმ დროს შეხვედრას იგებდა — 5:4. ხაშურელთა მწვრთნელმა ოთარ შერაზადაშვილმა, არიქა, გვჩაგრავენო, ტრიბუნებისკენ აღმართა ხელები და გულშემატკივრებს უხმო — მიშველეთო. არენა მყის გაივსო ვაყელი ქომაგებით, რომლებმაც გადაწყვიტეს, ფეხს არ მოვიცვლით იქიდან... თუ ამ გადაწყვეტილებას არ გააუქმებდნენ.



ასეთ რთულ ვითარებაში მსაჯებმა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა კარგა ხანს ითათბირეს ცალკე ოთახში და ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: ეს შეხვედრა სხვა დროს თავიდან ჩაეტარებინათ (თარიღს მოგვიანებით გაცნობებთ).

მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის წევრებმა იქვე იმსჯელეს ხაშურელთა მწვრთნელ ოთარ შერაზადაშვილის საქციელზე. ისიც აღნიშნეს, რომ იგი დიდად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიონში ჭიდაობის განვითარებისთვის, ზრდის პერსპექტიულ ფალავნებს, ამიტომ სასჯელად ამ შეჯიბრების ბოლომდე დისკვალიფიკაცია აკმარეს.

ყოველივე ამის შემდეგ დიდი დაგვიანებით დაიწყო ქისტაურისა (ახმეტის რაიონი) და ქორდის (გორის რაიონი) გუნდების შეხვედრა, რომელსაც მართლაც მოუთმენლად ელოდნენ მაყურებლები. ხუმრობა როდია, ხალიჩაზე უნდა გამოსულიყო სამი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი: ძიუდოისტები დავით ბაგაური და ანზორ თენაძე, სამბისტი თემურ შეთეკაური.

შეხვედრაში სწრაფად დაწინაურდნენ გორელები — 4:1, მაგრამ თემურ შეთეკაურმა და დავით ბაგაურმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს — 3:4. ანზორ თენაძე მაშინ გავიდა ბაგაურთან საჭიდაოდ, როცა მას ერთი შეხვედრა უკვე მოგებული ჰქონდა, მაგრამ თენაძის დამარცხება ველარ შეძლო, თვითონ წააგო წმინდად და გორის გუნდმა საერთო გამარჯვება მოიპოვა — 5:3.

# ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## ფეხბურთი

### სათანრიგო მოთხოვნები

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** მონაწილეობდეს: სსრ კავშირის ნაკრებში, რომელმაც დაიკავა I-III ადგილები ოლიმპიურ თამაშებში, I-IV ადგილები მსოფლიო ჩემპიონატში; I-III ადგილები ევროპის ჩემპიონატში; ევროპის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ფინალში;

მსოფლიოს სტუდენტთა თამაშებზე I ადგილზე გასულ სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებში, ევროპის ახალგაზრდულ (21 წლამდე) ან მსოფლიოს იუნიორთა (19 წლამდე) პირველობებში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი** მონაწილეობდეს: 4 ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრაში სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიურ გუნდში;

იუნიორთა (19 წლამდე) მსოფლიო პირველობაში II-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში;

ჭაბუკთა (16 წლამდე) მსოფლიო პირველობაში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში;

ევროპის ახალგაზრდულ (21 წლამდე) პირველობაში II-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში.

ევროპის ჭაბუკთა (18 წლამდე) პირველობაში I-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში;

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე I ადგილის მფლობელ გუნდში, თუ მონაწილეთა ასაკი 21 წლამდეა;

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში 1-VI ადგილებზე გასულ გუნდში. სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში 2 წლის განმავლობაში ზედიზედ VII-X ადგილებზე გასულ გუნდში;

სსრ კავშირის პირველი ლიგის პირველობაში I ადგილის მფლობელ გუნდში; რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატში I ადგილის მფლობელ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების „ლოკომოტივის" გუნდში;

„სსრ კავშირის ფეხბურთის კავშირის თასზე" I-II ადგილებზე გასულ გუნდში;

სსრ კავშირის თასის ნახევარფინალის მონაწილე გუნდში; I ლიგის თასის ზედიზედ ორგზის მფლობელ გუნდში; შედიოდეს სსრ კავშირის 33 საუკეთესოთა შორის;

წოდება მიენიჭება აგრეთვე 10 წლის განმავლობაში ერთ კლუბში მოთამაშე ფეხბურთელს, ამას გარდა II ლიგის გუნდებს შორის ერთხელ მოიპოვოს პირველი ადგილი და 2 წელი დაიკავოს სულ მცირე მე-6 ადგილი.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი** შევიდეს:

I ლიგის გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელმაც საკავშირო პირველობაში მოიპოვა II-VI ადგილები; I ლიგის გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელმაც საკავშირო პირველობაში 2 წლის განმავლობაში ზედიზედ მოიპოვა VII-X ადგილები.

უმაღლესი ლიგის დუბლშემადგენლობაში, რომელმაც საკავშირო პირველობაში I-II ადგილები დაიკავა.

სსრ კავშირის სპორტსახკომის მიერ დადგენილ საერთაშორისო ტურნირებზე I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში; სსრ კავშირის სპარტაკიადაზე, თუ მონაწილეთა ასაკი 20 წლამდეა, II-III ადგილებზე გასულ გუნდში; „ოქროს თავთავის" თასის ზედიზედ ორგზის მფლობელ გუნდში; გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც სპორტული პროფილის ოლიმპიური სკოლა-ინტერნატების საკავშირო პრიზზე, რომელსაც ყოველკავშირეული „ფეხბოლ-ხოკეი" ატარებს, მოიპოვა I ადგილი.

„იმედის" საკავშირო თასის მფლობელი გუნდის შემადგენლობაში; მონაწილეობდა საკავშირო სპარტაკიადასა ან სტუდენტთა საკავშირო თამაშებში I ადგილის მფლობელ გუნდში;

ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე I ადგილის მფლობელ გუნდში;

I ადგილზე გასულ ჭაბუკთა (16 წლამდე) მსოფლიო პირველობაში II-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრებში; ევროპის ჭაბუკთა (16 წლამდე) I-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

რსფსრ-ის თასის მფლობელ გუნდში II ლიგის ზონების საკავშირო პირველობაში I ადგილზე გასულ გუნდში;

მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებს შორის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო ტურნირში ნ. პ. მოროზოვის პრიზზე I ადგილის მფლობელ გუნდში;

I ლიგის თასის მფლობელ გუნდში;

ფიზკულტურის კოლექტივების სსრ კავშირის თასის მფლობელ გუნდში.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. I თანრიგი ენიჭებათ უმაღლესი, I და II ლიგის გუნდების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებსა და უმაღლესი და I ლიგის დუბლშემადგენლობის ფეხბურთელებს, რომელთაც ვერ შეასრულეს სპორტის ოსტატისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატობის სათანრიგო მოთხოვნები, მაგრამ სეზონის განმავლობაში გუნდში ითამაშეს არა ნაკლებ კალენდარული თამაშების 50 პროცენტისა.

2. მოზარდთა II და III თანრიგი ენიჭება ფეხბურთელებს, რომლებმაც სეზონში გუნდის 14 კალენდარული მატჩი ითამაშეს.

3. საერთაშორისო შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრებ და საკლუბო გუნდში გამოსვლა ყველა ლიგის ოსტატთა გუნდების ძირითად შემადგენლობაში გამოსვლას უდრის.

4. II და III თანრიგები მინი-ფეხბურთისა და გამარტივებული წესებით გამართულ შეჯიბრებებში შესრულებულად ითვლება.

5. თანრიგები მიეკუთვნებათ მხოლოდ სათანადო სპორტკომიტეტების კალენდარულ გეგმაში შემავალი შეჯიბრებების მონაწილეთ.

6. სპორტკომიტეტებს შეუძლიათ დაავალონ ფეხბურთში შეჯიბრების ჩატარება, მათ შორის ჩართულს კალენდარულ გეგმაში, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საბჭოებსა და უწყებების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. საარაიონო და საქალაქო საბჭოებს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა მიერ ჩატარებული შეჯიბრება სპორტული თანრიგების მისანიჭებლად მოთხოვნები იგივეა, რაც ტერიტორიული შეჯიბრებებისა.

7. მოზარდს თანრიგი ენიჭება 11 წლიდან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 86.

I, II, III თანრიგები, მოზარდთა I, II, III თანრიგები – მონაწილეობდეს
შემდეგ ადგილებზე – გასული გუნდების შემადგენლობაში:

| შეჯიბრების მასშტაბი | ჯგუფების, გუნდების, თამაშების რაოდენობა | I | II | III | მოზარდთა I | მოზარდთა II | მოზარდთა III |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზკულტურის კოლექტივების ან სპორტული კლუბის ჩემპიონატი და პირველობა | 14 თამაში | | | | | | |
| | 1 ჯგუფი – 8 გუნდი: | - | - | I-5 | - | - | I-5 |
| | 2 ჯგუფი – 8-8 გუნდი: | | | | | | |
| | II ქვეჯგუფი | - | - | I-2 | - | - | I-2 |
| | I ქვეჯგუფი | - | I | 2-3 | - | I | 2-3 |
| | 3 ჯგუფი – 8-8 გუნდი: | | | | | | |
| | III ქვეჯგუფი | - | - | I-2 | - | - | I-2 |
| | II ქვეჯგუფი | - | I | 2-3 | - | I | 2-3 |
| | I ქვეჯგუფი | - | I-2 | 3-4 | - | I-2 | 3-4 |
| პირველობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის მინიფეხბურთში ან გამარტივებული წესებით | 10 თამაში | - | - | - | - | - | I-3 |
| სასოფლო რაიონის, ქალაქის და საქალაქო რაიონის ჩემპიონატი და პირველობა | 14 თამაში | | | | | | |
| | 1 ჯგუფი – 8 გუნდი | - | - | I-8 | - | - | I-8 |
| | 2 ჯგუფი 8-8 გუნდი | | | | | | |
| | II ქვეჯგუფი | - | I | 2-3 | - | I | 2-3 |
| | I ქვეჯგუფი | - | I-2 | 3-4 | - | I-2 | 3-4 |
| ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკ. (16-18 წ.) | 6 გუნდი (ფინალი) | 2-6 | - | - | - | - | - |
| სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების საკ. პირ. (15-16 წ.) | 6 გუნდი (ფინალი) | I-3 | 4-6 | - | - | - | - |
| ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო პირველობა (14-15 წლის) | 8 გუნდი (ფინალი) | - | - | - | I-6 | 2-4 (в зонах) | - |
| პროფტექსასწავლებლების სისტემის საკავშირო სპარტაკიადა | 17 ნაკრები გუნდი (ფინალი) | I-3 | 4-8 | - | 9-I7 | - | - |
| საკავშირო შეჯიბრება "ტყავის ბურთის" კლუბის პრიზზე | 24 გუნდი (ფინალი) ასაკი 16-17 წელი | - | I-3 | 4-8 | - | - | - |
| | 24 გუნდი (ფინალი) 14-15 წელი | - | - | - | I-2 | 3-4 | 5-24 |
| | 24 გუნდი (ფინალი) 12-13 წელი | - | - | - | - | I-2 | 3-24 |
| მოკ. რესპუბლიკებისა და რსფსრ-ის ზონების პირ. "ტყავის ბურთის" პრიზზე | 16-17 წელი | - | - | I-3 | - | - | - |
| | 14-15 წელი | - | - | I-3 | I | 2-3 | 4-23 |
| | 12-13 წელი | - | - | I-3 | - | I | 2-24 |
| "შრომითი რეზერვების" პირველობა, ჭაბუკები 15-17 წელი | 12 გუნდი (ფინალი) | - | - | - | I-6 | 7-I0 | - |
| ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საოლქო, სამხარეო, ასსრ ჩემპიონატი და პირველობა | 8 გუნდი (ფინალი) | I | 2-3 | - | I | 2-3 | - |
| ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების პირველობა და ჩემპიონატი | 8 გუნდი (ფინალი) | I-3 | 4-8 | - | I-3 | 4-8 | - |
| თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატი და პირველობა | 8 გუნდი (ფინალი) | I-5 | 6-8 | - | I-5 | 6-8 | - |
| მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის თასი | არა უმეტეს 16 გუნდისა | I-4 | - | - | I-4 | - | - |
| საკავშირო შეჯიბრება "ოქროს თავთავი": | | | | | | | |
| სარაიონო | არა უმეტეს 16 გუნდისა | - | I-2 | 3-4 | - | - | - |
| საოლქო, ასსრ, სამხარეო | არა უმეტეს 16 გუნდისა | - | I-4 | 5-8 | - | - | - |
| რესპუბლიკური | ფინალი | I-2 | 3-8 | - | - | - | - |
| საკავშირო | არა უმეტეს 16 გუნდისა | I-8 | - | - | - | - | - |
| [illegible] სპორტსმენთა საკავშირო პირველობა | არა უმეტეს 17 გუნდისა ფინალი | I-4 | 5-I7 | - | - | - | - |
| საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საკ. პირ. "იმედის" თასზე | 18 ნაკრები გუნდი | 2-6 | 7-I8 | - | - | - | - |
| საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საკავშირო პირველობა "[illegible]" (14-15 წლის) ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების (13-14 წლის) საკავშირო პირველობა მინიფეხბურთში | 6 გუნდი (ფინალი) | - | - | - | I-6 | - | - |
| | 18 ნაკრები გუნდი | I | 2-6 | - | 7-I8 | - | - |
| მოსწავლეთა (16-18 წლის) საკავშირო სპარტაკიადა | 17 ნაკრები გუნდი (ფინალი) | 2-6 | 7-I8 | - | - | - | - |
| საკავშირო პირველობა პრიზზე | 22 გუნდი (ფინალი) | 2-8 | - | - | - | - | - |
| ყოველკავშირული "ფეხბოლ-ხოკეის" სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების (17-19 წლის) საკავშირო პირველობა | ზონები | - | 3-6 | 7-8 | - | - | - |
| რაიონისა და ქალაქის თასი ქალაქის ჩემპიონატი და პირველობა ჯგუფების მიხედვით საკლუბო ჩათვლა | 3 ჯგუფი 8-8 გუნდი | | | | | | |
| | III ქვეჯგუფი | - | I | 2-3 | - | I | 2-3 |
| | II ქვეჯგუფი | - | I-2 | 3-4 | - | I-2 | 3-4 |
| | I ქვეჯგუფი | - | I-3 | 4-5 | - | I-3 | 4-5 |
| | არა უმცირეს 16 გუნდისა | - | I-2 | - | - | I-2 | - |
| | 3 ჯგუფი (არა უმცირეს 8 გუნდისა თითოეულში) | | | | | | |
| | III ჯგუფი: ჭაბუკთა და მოზრდილთა გუნდები | - | I-2 | 3-4 | - | I-2 | 3-4 |
| | II ჯგუფი: | | | | | | |
| | 2-ე გუნდი ჭაბუკთა | - | - | - | - | I-2 | 3-4 |
| | 1-ი გუნდი ჭაბუკთა | - | - | - | I | 2-4 | 5-6 |
| | 1-ი გუნდი მოზრდილთა | I | 2-4 | - | - | - | - |
| | I ჯგუფი | | | | | | |
| | 3-ე გუნდი ჭაბუკთა | - | - | - | - | I-2 | 3-4 |
| | 2-ე გუნდი ჭაბუკთა | - | - | - | I-4 | 5-8 | - |
| | 1-ი გუნდი ჭაბუკთა | - | - | - | I-4 | 5-8 | - |
| | 1-ი გუნდი მოზრდილთა | I-4 | 5-8 | - | - | - | - |
| საოლქო, ასსრ, სამხარეო ჩემპიონატი და პირველობა | 8 გუნდი (ფინალი) | I-3 | 4-8 | - | I-3 | 4-8 | - |
| საოლქო, ასსრ, სამხარეო თასი | არა უმეტეს 16 გუნდისა | I-2 | - | - | I-2 | - | - |
| რსფსრ-ის, ბელორუსიის, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის სსრ, მოსკოვის, ლენინგრადის ჭაბუკთა შეჯ. | 8-12 გუნდი (ფინალი) ასაკი 16-18 წლის | I | 2-4 | - | 5-8 | 9-I2 | - |
| | 14-15 წლის | - | - | - | I-3 | 4-I2 | - |
| ლიტვის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ლატვიისა და ესტონეთის სსრ ჭაბუკთა პირველობა | 8-12 გუნდი (ფინალი) | I-3 | 4-8 | - | 9-I2 | - | - |
| | ასაკი 16-18 წელი 14-15 წელი | - | - | I-3 | 4-8 | 9-I2 | |

**შენიშვნა:** 1. ცხრილში ჩამოთვლილი ჩემპიონატები და პირველობები ტარდება წრიული სისტემით (ორ წრედ).

2. ქალაქის ჩემპიონატისა და პირველობის საკლუბო ჩათვლაში (ორ ან მეტ ჯგუფში) გუნდების რაოდენობა, რომელთა ფეხბურთელებს მიენიჭათ I და II თანრიგები, მოზარდთა I, II თანრიგები ერთით იზრდება.

(გაგრძელება იქნება)

## წყალში მხტომელთა საკავშირო ტურნირი

## [illegible]

## მეორე ადგილი

**თბილისელი** წყალში მხტომელები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. მათ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს მოსკოვში გამართულ საკავშირო ტურნირში, რომელიც წარსულში ცნობილი წყალში მხტომელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, დიდი სამამულო ომის ვეტერანი მებრძოლის გიორგი მაზუროვის ხსოვნას მიეძღვნა.

ამ შეჯიბრებაში პრაქტიკულად ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. გამონაკლისები იყვნენ საკავშირო ნაკრების ის წევრები, რომლებიც მსოფლიო თასის გათამაშებაში გამოდიოდნენ (მათ შორის გახლდათ ანა როსტიაშვილიც).

თბილისელები მოსკოვში ათკაციანი გუნდით ჩავიდნენ. ნახევარს შეადგენდნენ ნორჩი, გამოუცდელი სპორტსმენები, რომელთათვისაც ეს ტურნირი კარგი სკოლა იყო.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისელმა მოსწავლე ნანა ნებიერიძემ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში, სადაც მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ყველას აჯობა.

მზარდი ოსტატობა დაადასტურა ასევე თბილისელმა მოსწავლე ლაშა გახარიამ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა წყალში მხტომელთა ერთ-ერთი ლიდერი, თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე ტრავმის მერე პირველად ჩაება შეჯიბრებაში და ამიტომ თავის ძირითად სახეობას (კოშკი) თავი აარიდა. მან 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სცადა ძალა და მეორე ადგილი დაიკავა. აქ უძლიერესის სახელი მოსკოველმა ანდრეი კუსტოვსკიმ მოიპოვა.

შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ დიანა მჭედლიძე და გიორგი შელიუგოვი. დიანამ კოშკიდან ხტომაში VI ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში VII იყო. გიორგის შეეძლო გაცილებით უკეთ გამოსულიყო, მაგრამ ერთი ხტომა, როგორც იტყვიან, გაუფუჭდა, რამაც საბოლოო შედეგზე, ბუნებრივია, დიდად იმოქმედა.

საერთო ჯამში თბილისელ წყალში მხტომელთა გამოსვლა, რა თქმა უნდა, მაღალ შეფასებას იმსახურებს.

## გაიმარჯვეს მომავალმა პედაგოგებმა

**ბათუმში** დამთავრდა მე-16 ტრადიციული საქალაქო სპარტაკიადა, რომლის მონაწილენი — სასწავლო დაწესებულებათა ნაკრები გუნდები — ასპარეზობდნენ ჭადრაკში, ცურვაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ტყვიის სროლაში და ტურისტულ მრავალჭიდში. ყველა სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეები.

**ლევან ქავჟარაძე.**
„ლელოს" საკ. კორ.
ბათუმი.

## პირადი პრიზი

**ფოთში** ჩატარდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური პირველობა ძიუდოში უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 111 მოკრივე. აქ პირველად გათამაშდა ფოთში კრივის დამაარსებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და მასწავლებლის ლიდორი თავაძის სახელობის სამახსოვრო პრიზი, რომელიც ამიერიდან ფოთში გამართული შეჯიბრების საუკეთესო მოკრივეს გადაეცემა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: 44 კგ — ჟან შატვაროვმა (თბილისი), 46. კობა გოგოლაძემ (ფოთი), 48. ჰენრიხ გაბოიანმა (თბილისი), 50. გოჩა რუსიამ (ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი), 52. ლაშა ჯალაღონიამ (ფოთი), 54. პაატა გვასალიამ (ფოთი), 57. ლევან დიდებაშვილმა (თბილისი), 60. თეიმურაზ ჩიქობავამ, 63. გელა ადამიამ (ორივე ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი), 66. თეიმურაზ სუხიშვილმა (თბილისი), 70. ვადიმ კოკოევმა (ცხინვალი), 74. გია გაბლიანმა (მესტია), 79. არტურ ოჰანესიანმა (აფხაზეთი), 85. ჰამლეტ გოჩუამ (აფხაზეთი), +85. ზურაბ სარსანიამ (ფოთი).

ლიდორი თავაძის პრიზი გადაეცა პაატა გვასალიას.

**გიგლა ბახტაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •



სურათზე: გამარჯვებულები — პირველ რიგში (მარცხნიდან) ლ. ჯალაღონია, ლ. დიდებაშვილი, გ. რუსია, პ. გვასალია, კ. გოგოლაძე, ჰ. გაბოიანი, ჟ. შატვაროვი, თ. ჩიქობავა; დგანან გ. ადამია, ვ. კოკოევი, ა. ოჰანესიანი, ჰ. გოჩუა, თ. სუხიშვილი, გ. გაბლიანი, ზ. სარსანია.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

# როგორც ერთი გუნდი

**როგორც** ვიუწყებოდით, ფეხბურთში სსრ კავშირის მიმდინარე ჩემპიონატის მატჩი ერევნის „არარატსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის 14 მაისს, ნაცვლად ერევნისა, ჩატარდებოდა სოჭში. „ლელოს“ კორესპონდენტიც სოჭში გაემგზავრა და, ცხადია, თამაშს ვერ დაესწრო.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით მოძმე სომხეთის სპორტული გაზეთის რედაქციას. გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთში მთლიანად დაგვებეჭდა ამ მატჩის მიმოხილვის ის მასალა, რომელიც სომხეთის სპორტულმა გაზეთა „ჰაიასტანი ფიზკულტურნიკმა“ მოამზადა. ასე რომ, წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ერთდროულად იბეჭდება როგორც სომხურ, ისე ქართულ სპორტულ გაზეთში. ამგვარ გადაწყვეტილებაზე სულგრძელად დაგვთანხმდა „ჰაიასტანი ფიზკულტურნიკის“ რედაქტორის მოადგილე, ზემოაღნიშნული საფეხბურთო მატჩის მიმოხილვის ავტორი მისაკ ნაზარიანი, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

**„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) — 0:0.**

**14 მაისი, ერევანი, „რაზდანის“ სტადიონი. 27.000 მაყურებელი.**

**„არარატი“: პოდშივალოვი, ოვსეფიანი, ვ. ხაჩატრიანი, ა. ხაჩატრიანი, ოგანესიანი (ქამალიანი — 70 წ), ენგიბარიანი, ოსიპიანი, მელიქიანი, ვერანიანი, ალაზიანი, დემირჭიანი.**

**„დინამო“: ხაპოვი, კეტაშვილი, თეთრაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, აფციაური, ხვანაძე, ცვეიბა, ცაავა, კაჭარავა (ქეცბაია — 46 წ.), გოგიჩაიშვილი (ყაველაშვილი— 68 წ.).**

**მსაჯი ი. ვერგოპულო (მოსკოვი).**

**სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი არ შემდგარა.**

**ეს** მატჩი, როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, სოჭში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ერევნელთა მოთხოვნით იგი პირვანდელი დანიშნულების ადგილას — სომხეთის დედაქალაქში შედგა.

გულთბილად, ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ ერევნელები აეროპორტ „ზვარტნოცში“ თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებიც აქ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოფრინდნენ. ძვირფასი სტუმრები სასტუმრო „დვინამდე“ მიაცილეს და... სულ მალე თამაშიც დაიწყო.

მთელმა სტადიონმა ფეხზე ამდგარმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო თბილისში 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას.

საერთოდ ერევნელ და თბილისელ ფეხბურთელთა შეხვედრები მუდამ უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს, ამჯერად კი თამაშის სპორტული მხარე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე პლანზე გადავიდა. ტრიბუნები მხარს უჭერდნენ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს, თითქოს მოედანზე მართლაც ერთი გუნდი იყო. აკი თამაშის შემდეგ დინამოელებმა აღიარეს, რომ თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს შინ თამაშობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი რედაქცია მრავლად იღებდა მადლობის წერილებს სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისათვის, პირველ რიგში ქართველი ხალხის მისამართით, და ამიტომ გული გვწყდებოდა, რომ სოჭში მატჩის გადატანით საშუალება არ გვეძლეოდა გულთბილად და თანაგრძნობით მივსალმებოდით საქართველოს წარგზავნილებს. წარმოიდგინეთ, ბევრი სოჭშიც კი გაემგზავრა და... სამწუხაროდ, ვერ ჩამოუსწრო მატჩს. ცხადია, ამითაც აიხსნება, რომ შეხვედრას მხოლოდ 27 ათასი კაცი დაესწრო. ტრიბუნები მხურვალე ტაშით ესალმებოდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელებს. თამაშის შემდეგ კი როლები შეიცვალა — ახლა ფეხბურთელები უკრავდნენ ტაშს გულშემატკივრებს ესოდენ გულთბილი მიღებისათვის. მართალია, თამაშში ნულოვანი ფრე აღინიშნა, რაც ასე არ უყვართ მაყურებლებს და თვით ფეხბურთელებსაც, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო...

ორიოდე სიტყვა თვით მატჩის შესახებ, რომელშიც, უდავოდ, მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ მეკარეები — გამოცდილი ერევნელი პოდშივალოვი და დინამოელთა დებიუტანტი ხაპოვი. სახიფათოდ ურტყამდნენ კარში ქეცბაია, ცვეიბა, ცაავა, თავის მხრივ „არარატის“ დებიუტანტს, 19 წლის დემირჭიანსაც ორჯერ შეეძლო მეტოქის კარის აღება.

მეტოქეებმა ქულები გაიყვეს...

**მისაკ ნაზარიანი.**
**(ტელეფონით).**

ერევანი.

## სხვა მატჩები

13-15 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

**„დინამო“ მ. — „პამირი“ 0:0**
**„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“ 1:1**
**„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“ 2:0**
**„ტორპედო“ — „მეტალისტი“ 1:0**
**„შახტიორი“ — „სპარტაკი“ 0:1**
**„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“ 3:0**

### გათამაშების ცხრილი

| ძირითადი შემადგენლობანი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 10 | 7 | 3 | 0 | 19-3 | 17 |
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 6 | 3 | 1 | 17-7 | 15 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 4 | 5 | 1 | 11-6 | 13 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 4 | 4 | 2 | 11-7 | 12 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 10 | 4 | 4 | 2 | 12-12 | 12 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 10 | 4 | 2 | 4 | 13-12 | 10 |
| „არარატი“ (ერევანი) | 10 | 4 | 2 | 4 | 7-9 | 10 |
| „დინამო“ (მინსკი) | 10 | 4 | 1 | 5 | 13-13 | 9 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 10 | 4 | 1 | 5 | 11-14 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 9 | 2 | 5 | 2 | 8-8 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 2 | 4 | 4 | 9-11 | 8 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 8 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 10 | 2 | 3 | 5 | 5-8 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 10 | 2 | 3 | 5 | 6-11 | 7 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 10 | 1 | 5 | 4 | 5-12 | 7 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 2 | 1 | 6 | 4-13 | 5 |

მდგომარეობა 16 მაისისთვის

## ფოთელი ჭაბუკების წარმატება

**მელიტოპოლში** ჩატარდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტრადიციული ასპარეზობა საბჭოთა კავშირის გმირ ვ. სუხოვის პრიზზე. ტურნირში მეოთხედ მონაწილეობდა ქ. ფოთის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპორტული სკოლის გუნდი „კოლხეთი“ (დირექტორი ამირან მელიქია).

ფოთელმა ჭაბუკებმა მაღალ დონეზე წარმართეს ორთაბრძოლები და თანმიმდევრულად დაამარცხეს მელიტოპოლის „ტორპედო“ 4:2 და „სპარტაკი“ 2:0, კიევის „ლოკომოტივი“ 2:0, ხარკოვის „მეტალისტი“ 6:1, გომელის „გომსელმაში“ 3:0, ფრედ ითამაშეს კრივოი როგის „კრივბასთან“ 1:1 და ჩერნიგოვის „დესნასთან“ 0:0. შვიდი თამაშიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დააგროვეს 12 ქულა და პირველი ადგილი და საპატიო პრიზი დაისაკუთრეს.



გამარჯვებულებმა მეტოქის კარში გაიტანეს 18 ბურთი, ხოლო საკუთარში მხოლოდ 4 მიიღეს.

ტურნირზე დაწესებული საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დაიმსახურა ფოთელმა ს. კოკაიამ.

ტურნირისათვის გუნდს ამზადებდა და ხელმძღვანელობდა სკოლის უფროსი მწვრთნელი ნ. ლემონჯავა.

**იური ბობრონიძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში.**

**სურათზე: ტურნირში გამარჯვებულ ფოთელ ჭაბუკთა გუნდი.**

## „ფანატები“ არ ცხრებიან

**ამ** დღეებში დიდ ბრიტანეთში გაიმართა საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები. ფეხბურთის სამშობლოში კვლავ მოხდა ყოვლად მიუტევებელი დარღვევები, გულშემატკივრები და „ფანატები“ კვლავინდებურად არ ცხრებიან, მათი თავშეუკავებელი ხულიგნობა ბარბაროსულ ფორმებს იღებს.

ლონდონის „კრისტალ პალასისა“ და ქ. ბირმინგემის გუნდის შეხვედრის შემდეგ ტრიბუნებზე ატყდა მასობრივი მუშტი-კრივი, რის შემდეგ 16 დაზარალებული მოათავსეს საავადმყოფოში, ერთ მათგანს დანით მძიმე ჭრილობა აქვს მიყენებული. ალვირახსნილ ხულიგანთა დასაშოშმინებლად სასწრაფოდ გამოიძახეს ცხენოსანი პოლიცია, გულშემატკივრები სტადიონის ტერიტორიის გარეთაც არ წყვეტდნენ ჩხუბს. დედაქალაქის კროიდონის რაიონში დალეწეს მაღაზიები, რესტორნები, ავტოსადგომები.

ასეთივე ბარბაროსული ამბავი მოხდა ქალაქ ლიდსში (ჩეშირის საგრაფო). მოწინააღმდეგე ბანაკების გულშემატკივართა შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ 50-მდე კაცი დააპატიმრეს, ხოლო ქალაქ ტიუქს-ბერიში (გლოსტერშირის საგრაფო) კლუბ „ბრისტოლ როუერსის“ რამდენიმე ათეული ქომაგი შეიჭრა ერთ-ერთ კერძო სახლში და როცა მასპინძლებმა წინააღმდეგობა სცადეს, ისინი სასტიკად სცემეს, შენობას კი სერიოზული ზიანი მიაყენეს. ყველა ხულიგანი დააპატიმრეს, პოლიციურმა რაზმებმა მათ გარდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დააკავეს კიდევ რამდენიმე ასეული ვგზალტაციაში მყოფი „ფანატი“, 24 მათგანი სასამართლოშია მიცემული.

ბრიტანეთის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყველაფერი ეს ხდება მას შემდეგ, რაც ქ. შეფილდში „ჰილსბოროს“ სტადიონზე მომხდარი ტრაგიკული ამბების მერე თვეც კი არ გასულა. მაშინ სასიკვდილოდ დაშავდა 95 მაყურებელი და 200-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა.

## I ლიგა

**14 და 15 მაისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IX ტურის შეხვედრები.

**„დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1 (0:0)**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 14 მაისი.**

**„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, მ. მახარაძე, ჯიშკარიანი (ათუაშვილი), ბიგვავა, ჟვანია, ზედანია (კაკილაშვილი).**

**„ტორპედო“: ქორიძე, პაპავა, თორლაშვილი (გაბესკირია), ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, ბალახაშვილი, დ. მახარაძე, მეგრელაძე (ხარაბაძე), დარასელია, შავდათუაშვილი.**

**მსაჯი — კ. ალექსანდროვი (იაროსლავლი).**

თამაში მასპინძელთათვის აშკარად არახელსაყრელად დაიწყო: მიმდინარეობდა მე-8 წუთი, როცა მათ კართან მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მეგრელაძის დარტყმა უზუსტო გამოდგა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და იმავე მეგრელაძის ძლიერი ბურთი მოიგერია ბალაძემ. ამ ორ შესაძლებლობას შეეძლო ტორპედოელთა სასარგებლოდ წარემართა თამაში, მაგრამ დინამოელებმა თანდათან შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, შემდეგ კი ინიციატივის ხელში აღებაც. მათ წარმატება მოუტანა მეორე ტაიმის დასაწყისმა: ჯერ 53-ე წუთზე ჟვანია-მ. მახარაძის კომბინაცია პირველი გოლით დაამთავრა ამ უკანასკნელმა, შემდეგ კი ჯოხაძემ ზუსტი გადაცემით კარის წინ გაიყვანა ზედანია, მაგრამ ქუთაისელებმა იგი აკრძალული ხერხით წააქციეს. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ჯოხაძემ — 2:0.

დარჩენილ დროში ტორპედოელები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ერთადერთი, რაც შეძლეს, ეს იყო 70-ე წუთზე ბზიკაძის მიერ თავით გატანილი საპასუხო ბურთი. თამაშის დამთავრებამდე შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტს შედეგი არ მოჰყოლია.

**გიორგი მურვანიძე.**
**(ტელეფონით „ლელოს“ კორ.).**

**გუშინ** ლანჩხუთში შედგა ტურის მეტად საინტერესო შეხვედრა. ადგილობრივმა „გურიამ“ მიიღო ლიგის ერთპიროვნული ლიდერი — ცსკა.

თამაში დამთავრდა „გურიის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IX ტურის შეხვედრები: „დინამო“ (სოხუმი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 2:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 5:0, „დილა“ (გორი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 1:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 2:1, „შევარდენი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „გოიაზანი“ (ყაზახი) — ომც (თბილისი) 3:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1, „ტერმისტი“ (ბაქო) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 1:0, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 3:2.

ბაქოს „ბაკინეცს“ სახელი შეეცვალა, გუნდს ეწოდა „ტერმისტი“.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ ს. | 9 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 14 |
| „დინამო“ ს. | 7 | 6 | 0 | 1 | 15-6 | 12 |
| „დილა“ | 8 | 5 | 2 | 1 | 10-7 | 12 |
| „ტექსტილ.“ | 7 | 5 | 1 | 1 | 14-3 | 11 |
| „ხაზარი“ ს. | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 11 |
| „მეტალ.“ | 9 | 3 | 5 | 1 | 10-6 | 11 |
| „კოლხეთი“ ფ. | 8 | 4 | 1 | 3 | 11-7 | 9 |
| „ტორპედო“ | 8 | 4 | 1 | 3 | 11-7 | 9 |
| „ნარტი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 8-7 | 9 |
| „გოიაზანი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 9 |
| „კოლხეთი“ ხ. | 8 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 9 |
| „ტერმისტი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 7-10 | 9 |
| „ყარაბაღი“ | 7 | 4 | 0 | 3 | 7-11 | 8 |
| „ქიაფაზი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 7 |
| „დინ.“ (მახ.) | 8 | 1 | 4 | 3 | 11-11 | 6 |
| „ატომმაში“ | 8 | 2 | 1 | 5 | 7-12 | 5 |
| „ლოკ.“ (მ. წყ.) | 8 | 1 | 3 | 4 | 10-13 | 5 |
| „ხაზარი“ ლ. | 8 | 2 | 0 | 6 | 4-14 | 4 |
| „მერცხალი“ | 8 | 1 | 2 | 5 | 9-13 | 4 |
| „ზვეზდა“ | 7 | 1 | 2 | 4 | 11-19 | 4 |
| „შევარდ“. | 7 | 1 | 1 | 5 | 6-14 | 3 |
| ომც (თბ.) | 9 | 1 | 1 | 7 | 9-22 | 3 |

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის შეხვედრები: „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „დინამო“ (გაგრა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0; „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სულორი“ (ვანი) 2:1, „სიონი“ (ბოლნისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „მზიური“ (გალი) 4:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0, „მალაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2, „სქური“ (წალენჯიხა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ივერია“ (ხაშური) 1:1.

● **ბელგიურ** ფეხბურთში ფიქსირებულია რეკორდი: „ბრიუგეს“ თავდამსხმელი მარკ დიგრისი 2,3 მილიონ დოლარად შეიძინა „ანდერლეხტმა“, ეს გარიგება ძალაში შევა შემდგომი სეზონიდან.

მ. დიგრისი ამჟამად ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელია, „ბრიუგეს“ მრავალი წინადადება ჰქონდა უცხოური კლუბებისგან, მაგრამ არჩევანი მაინც „ანდერლეხტზე“ შეჩერდა.

— მოხარული ვარ, რომ ასე მოხდა, ვინაიდან სულაც არა მაქვს სურვილი სამშობლო დავტოვო, — განაცხადა მ. დიგრისმა. — 23 წლისა ვარ, მინდა ვითამაშო მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე და, ჩემი აზრით, საამისოდ ყველაზე უკეთ ჩემივე ქვეყანაში მოვემზადები.



● **მნიშვნელოვანი** ცვლილებები მოხდა გფრ-ის საფეხბურთო ჩემპიონატში. ამ ქვეყნის პირველობა მომავალი სეზონიდან არ ჩატარდება პირველ და მეორე წრეებად, ორი გუნდი კვირის განმავლობაში ერთმანეთს შეხვდება ორჯერ შინ და სტუმრად, როგორც ეს ხდება ევროპის საკლუბო გათამაშებებში. ყოველ მატჩში ქულათა ჩვეულებრივი ჩათვლის გარდა (2 ქულა — გამარჯვება, 1 — ფრე) კლუბს დამატებითი ქულა დაეწერება „სერიაში“ საერთო გამარჯვებისთვის. თუ გამარჯვებული არ გაირკვევა ორ მატჩში, დაინიშნება დამატებითი 11-მეტრიანები.

# ღირსეული რეზერვი — „შრომითი რეზერვებიდან“

**ბუნდური** პირველობა და ორი პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა ტალინში გამართულ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ პირველობაზე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი ჭაბუკები. გუნდური გამარჯვების გარდა (მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ლიტვისა და მოსკოვის გუნდები), თბილისელმა ვალერი ოგანეზოვმა ყველას აჯობა სპორტის ოსტატთა შორის (103,2 ქულა) და აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. ასევე უძლიერესნი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოსტატობის კანდიდატთა ასპარეზობაშიც. აქ ყველას სძლია ილია ვაშაკიძემ (107,1 ქ.), პირველ და მეორეთანრიგოსანთა შორის მესამე ადგილები მოიპოვეს შესაბამისად ლევან სეხნიაშვილმა (105,8) და ვეფხია ხუბაევმა (110,25).

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ტანმოვარჯიშეები „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში შეიყვანეს. ისინი ოქტომბერში მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობაში ლენინური კომკავშირის პრიზზე, რომელიც ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში გაიმართება. რაც შეეხება ნიკოლოზ ბარამიძეს, ილია ვაშაკიძეს და ვალერი ოგანეზოვს ისინი სხვებთან ერთად რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში (დონეცკი, ივნისი — ივლისი).

კარგად გამოვიდა შორენა ბერუაშვილიც, რომელმაც აბსოლუტურ პირველობაში (ორი ნებისმიერი პროგრამის შესრულებით) მეორე შედეგი აჩვენა. რაც შეეხება ჩვენი გოგონების გუნდურ ასპარეზობას, აქ აშკარად უფერულად გამოვედით და მერვე ადგილზე აღმოვჩნდით.

ჩვენი ნაკრები დაკომპლექტებული იყო გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ცენტრალური სატანვარჯიშო სკოლისა და „შრომითი რეზერვების“ სექციის აღსაზრდელებით. მათი უმრავლესობა უმაღლესი დაოსტატების სკოლისა და საქართველოს ახალგაზრდული გუნდის წევრია.

ამ შეჯიბრებისათვის ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ამზადებდნენ სპორტის ოსტატები ედვარდ ექსუზიანი, გიორგი რაჭველიშვილი, თამაზ გოგნიაშვილი, თამრიკო ლაფერაშვილი და ზურაბ ოშხერელი.

**იუზა ონაშვილი,**
**„შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში.**



• • •

**სურათებზე:** სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული გუნდი; ვალერი ოგანეზოვი და ილია ვაშაკიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# რვა მედალი

**ანკარა.** ქ. ათათურქის სახელობის სპორტული კომპლექსი ოთხ დღეს მასპინძლობდა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპის მორიგ ჩემპიონატს. გუნდური გამარჯვება საბჭოთა კავშირის ათლეტებმა მოიპოვეს (მათ ანგარიშზეა ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი). მეორე ადგილი თურქეთის ნაკრებს ხვდა, მესამე — ბულგარეთის წარმომადგენლებს.

ჩემპიონის ოქროს მედლები საბჭოთა გუნდში დაიმსახურეს: ერევნელმა გნელ მეჯლუმიანმა (48 კგ), მახაჩყალელებმა ნასირ გაჯიხანოვმა (74 კგ) და ვაგაბ კაზიბეკოვმა (90 კგ), აგრეთვე, მინსკელმა არავატ ხაბეევმა (100 კგ) და ტაშკენტელმა ასლან ხადარცევმა (130 კგ).

ვერცხლის პრიზიორები გახდნენ: ლვოველი მიხეილ კეზნირი (52 კგ), რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთან ბულგარელ ვალენტინ იორდანოვთან წააგო და მინსკელი კამალუტდინ აბდულდაუდოვი (57 კგ) — დამარცხდა თურქ ახმედ აკთან. ბრინჯაოს ჯილდო მიიღო მახაჩყალელმა ელმადი ჟაბრაილოვმა (82 კგ).

# აბდუქაფაროვის დისკვალიფიკაცია

**ბერლინი.** ადნ-ის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა ველომრბოლი ჯომოლიდინ აბდუჟაფაროვი ამოირიცხა 42-ე მშვიდობის ველორბოლის მონაწილეთა სიიდან. ამასთან, იგი დისკვალიფიცირებულია სამი თვით.

რბოლის მეორე ეტაპის (ვარშავა-ლოძი) შემდეგ მისმა დოპინგანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა. აბდუჟაფაროვმა ისარგებლა სინჯის მეორედ ჩაბარების უფლებითაც, მაგრამ ქალაქ კრეიშის დოპინგლაბორატორიაში ჩატარებულმა შემოწმებამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის ნაკრების ექიმიც ესწრებოდა, კვლავ დაადასტურა პირვანდელი შედეგი.

გამოირკვა, რომ სინჯში აღმოჩნდა ეფედრინი, რომელიც შედის ყველა სურდოს საწინააღმდეგო წამლის შემადგენლობაში და შეტანილია აკრძალულ სტიმულიატორთა სიაში.

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელმა გ. საიდხუჟინმა გამოთქვა სინანული მომხდარის გამო და ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.

# „ფანასკერტელი“ — მკურნალობაც, გულმოწყალებაც

**თბილისის** სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „ფანასკერტელი“ თანდათან აფართოებს მომსახურების არეალს, წამყვანი ადგილი, ცხადია, ფიზკულტურასა და სპორტს უკავია. ავადმყოფებს, რომლებსაც ექიმები ვარჯიშებს დაუნიშნავენ გასახდომად ან საერთო ტონუსის ასამაღლებლად, წინასწარ ჩაუტარებენ კარდიოლოგიურ გამოკვლევას ელექტროკარდიოგრაფის მეშვეობით. ყველა ვარჯიშს დაესწრება „ფანასკერტელის“ სამკურნალო ფიზკულტურის ექიმი, რომელიც ყურადღებით მიადევნებს თვალს მომეცადინეებს.

იქვე ჩატარდება უშუ-თერაპია და იოგო-თერაპია. ყველა ეს ზემოჩამოთვლილი ღონისძიება ჩატარდება სპორტულ ბაზებზე იმ დროს, როცა ეს ბაზები თავისუფალია. განრიგის რეგულირება აკისრია კოოპერატივის სპორტულ-გამაჯანსაღებელი განყოფილების გამგეს გ. ცქიტიშვილს.

საერთოდ, „ფანასკერტელში“ შექმნილია ზედმეტი წონის დასაკლები სამსახური, მას ხელმძღვანელობს სპეციალისტი აღდგენით მკურნალობაში გ. ხაჭაპურიძე. მისი ხელმძღვანელობით ავადმყოფებს ნივთიერებათა ცვლის გასაძლიერებლად, კუჭის მოცულობის შესამცირებლად უტარდებათ რეფლექსოთერაპია, რომელიც გულისხმობს ჩინურ წერტილებზე, ანუ ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე ლაზერის უმტკივნეულო და უვნებელი სხივების ზემოქმედებას, ყურის ნიჟარის არეში — „ხიჭვების“ ჩასმას, მაგნიტოპუნქტურას, აკუპრესაციას და სხვა.

რეფლექსოთერაპიის გარდა ავადმყოფებს ჩაუტარდებათ სპეციალური ვარჯიშები, მასაჟი, იმუშავებს საუნა, შარკოს შხაპი, დაგეგმილია ცხენებზე ვარჯიში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტას. ავადმყოფებს „ფანასკერტელის“ ექიმები დაუნიშნავენ საკვების მიღების საგანგებო რეჟიმს და, რაც მთავარია, აქვე შეიძლება დიეტური საკვების შეძენა, რომელიც დამზადებულია თერაპიის ინსტიტუტის სამკურნალო კვების ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკის ნ. კაკაბაძის რეცეპტებით.

ზედმეტი წონის დაკლება ადამიანებს დღეს დიდად სჭირდებათ, ეს სერიოზული პრობლემაა, ამიტომაც „ფანასკერტელში“ უახლოეს ხანებში დაინერგება ფსიქოთერაპია და სამკურნალო ჰიპნოზი, რომელსაც ჩაატარებს ფსიქოპათოლოგი გივი მაზმიშვილი. იგი ცნობილი კიეველი ფსიქოთერაპევტის ა. კაშპიროვსკის მეთოდის მიხედვით ადამიანს დაუკარგავს სურვილს მიიღოს ფქვილისგან დამზადებული საკვები, კარტოფილი თუ ტკბილეული.

ზედმეტი წონის სამკურნალო განყოფილებას კონსულტაციას უწევს ცნობილი ენდოკრინოლოგი დოცენტი შ. ბოგატირიოვა.

ახლო მომავალში აგარაკ კიკეთში დამთავრდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის „ფანასკერტელის“ ფილიალის კეთილმოწყობა, სადაც მსურველები ზაფხულში ივარჯიშებენ ცხენებით, ინერგება საცხენოსნო ტურიზმი, ხოლო ზამთრის დღეებში სამკურნალოდ გამოიყენება სათხილამურო სპორტი. კიკეთის კოოპერაციულ სანატორიუმში ავადმყოფთა სამკურნალოდ თბილისიდან ყოველდღიურად მიავლენენ „ფანასკერტელის“ მკურნალ ექიმებს და ზედმეტი წონის დაკლების სამსახურის მედიკოსებს.

„ფანასკერტელმა“ წელს თვენახევარში მიიღო 10 ათასი პაციენტი, საიუბილეო პაციენტს გადაეცა სპეციალური ტალონი ერთი წლის მანძილზე უფასო მკურნალობის უფლებით. სამკურნალო ცენტრის ორმა თანამშრომელმა (ლ. ჯინჭარაძემ და გ. ხაჭაპურიძემ) საკუთარი ხელფასი შეიტანა თბილისის პირველი მაისის რაიონის №1 ბავშვთა სახლის დამამთავრებელი ჯგუფის 10 მოსწავლის სახელზე და ახლა ბავშვებს ხელთა აქვთ 400-4000 მანეთის შემნახველი ბანკის წიგნაკები.

ახლახან კოოპერატივის თავმჯდომარე ს. თავხელიძე და სამედიცინო სამსახურის უფროსი გ. ხაჭაპურიძე ჩავიდნენ საინგილოში, სადაც მოლაპარაკება ჰქონდათ ამ რეგიონის ხელმძღვანელებთან, რათა მაისში იქ „ფანასკერტელის“ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან შემდგარმა ჯგუფმა გამოიკვლიოს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობა და გაუწიოს უფასო მკურნალობა.

მთელმა საქართველომ სულის სიღრმემდე განიცადა იმ სტიქიური უბედურების შედეგები, რომლებიც თავს დაატყდა აჭარის მთიანის რაიონების სოფლებს. „ფანასკერტელი“ ყოველნაირ სამედიცინო დახმარებას გაუწევს აჭარის სოფლების დაზარალებულ მოსახლეობას, უსასყიდლოდ ხელს გაუმართავს მას მკურნალობის საქმეში.

კოოპერატივის საერთო კრებამ დაადგინა, ურიგოდ და უფასოდ მოემსახუროს 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაზარალებულთ. საამისოდ შეიქმნა ანტისტრესული და ნევროზების სამკურნალო სპეციალური სამსახური, რომლის შემადგენლობაში შედიან ნევროპათოლოგ-ვეგეტოლოგი მ. მაკარიძე, რეფლექსოთერაპევტი გ. ხაჭაპურიძე, ფსიქოპათოლოგი გ. მაზმიშვილი, ექსტრასენსი ვ. ფანქველაშვილი, წერტილოვანი მასაჟის სპეციალისტი ფ. ლაპიცკი და სხვანი.

სპორტულ-სამედიცინო კოოპერატივი „ფანასკერტელი“, მთელი მისი კოლექტივი მზად არის თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი გაუყოს ჭირში მყოფ მოძმეთ, ყველაფერი გააკეთოს დაავადებულთა და სნეულთა დასახმარებლად.

**ირაკლი ბებიაშვილი.**
**ავტორის თხოვნით ამ წერილის ჰონორარი საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში გადაირიცხება.**

## „სპორტლოტო“

**მოსკოვში,** 14 მაისს, გაიმართა „სპორტლოტოს“ მე-20 ტირაჟი. **„სპორტლოტო 6 45“-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 15 (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლა), 24 (ხელბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლა), 22 (წყალში ხტომა).

# დარეჯან გრიგორაშვილი



გარდაიცვალა დარეჯან გრიგორაშვილი, 50-იანი წლების ქალთა კალათბურთის აღიარებული ლიდერი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ყველა წარმატება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. დარეჯან გრიგორაშვილმა ალისა ასიტაშვილთან, ნელი ტოტიაშვილთან, ვერა გნიოტოვასთან და სხვა თანაკლუბელებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სპორტის ამ სახეობის პოპულარობას ჩვენს რესპუბლიკაში. იმ პერიოდში ქალთა კალათბურთს უამრავი ქომაგი ჰყავდა და ხალხიც დიდი ინტერესით დადიოდა საყვარელი გუნდის თამაშებზე.

დარეჯანი თავისი კლუბის სული და გული იყო, მისი და რესპუბლიკის ნაკრების საიმედო კაპიტანი. მტკიცე ხასიათის, ენერგიული და მომთხოვნი კაპიტანი საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდა თავის კოლექტივში, რომელმაც 1955 წლის ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაიკავა, ორი წლით ადრე კი ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. ამ წარმატებებისთვის გუნდის წევრებს და, რა თქმა უნდა, მის ლიდერს დარეჯან გრიგორაშვილს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

იგი პროფესიით გეოლოგი იყო და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავისი პროფილით საქმიანობდა. როგორც სპორტში, ისე შრომით საქმიანობაში პრინციპულობით, საქმის სიყვარულით გამოირჩეოდა და ნაცნობ-მეგობრებშიც დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. მისმა უდროო გარდაცვალებამ ყველას გულწრფელად დაწყვიტა გული.

**კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.**
**სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.**

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

(ა. წერეთლის გამზირი №2)

17 მაისი

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის თასი (მეოთხედფინალი)

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათზე

მატჩზე დასასწრები ბილეთები (დათარიღებული 3 მაისით) გაიყიდება სტადიონის სალაროებში 16 და 17 მაისს, 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 16 მაისს.

მოეწყობა ლატარიის მორიგი ტირაჟი.

აბონემენტების მფლობელებს მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ მე-7 სალაროში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07169

ეროვნული ბიბლიოთეკა